ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსთაველიანა მოსკოვში

სულ ახლახან საქართველო გულითადად მასპინძლობდა სტუმრებს, რომლებიც დედამიწის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ შ. რუსთაველის იუბილეზე. საქართველოში დიდი წარმატებით ჩაიარა იუბილემ, მაგრამ ზეიმი არ დამთავრებულა.

ახლა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი — მოსკოვი მასპინძლობს რუსთაველს.

მოსკოვში, ლენინგრადსა და რიაზანში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი ქართული პოეზიისა და ხელოვნების დეკადა.

13 ოქტომბერს პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა პირველი დიდი საღამო. ქართველი პოეტები მიიწვიეს აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტექნიკური მუზეუმის ლექტორიუმში და სხვაგან.

ორ დღეს ისმენდა ქართული ლექსის დიდებულ მელოდიას ლენინის ქალაქი. აქედან კი ისევ მოსკოვს ესტუმრნენ ჩვენი რესპუბლიკის პოეტები. აქ მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელშიც მოსკოვის მეცნიერ-ფილოლოგებთან ერთად, მონაწილეობდნენ ქართველი რუსთველოლოგებიც.

დედაქალაქში რუსთაველის დღეები ამით როდი ამოიწურა. გუშინ, 25 ოქტომბერს, დღის 3 საათზე მოსკოველები შეიკრიბნენ დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს ქუჩაზე, რომელსაც ეწოდება „ბოლშაია გრუზინსკაია". აქ, მოედნის სკვერში, საზეიმოდ გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი. ძეგლის გახსნას დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

გუშინვე საღამოს სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო საღამო-კონცერტი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ნიკოლოზ ტიხონოვმა. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, უკრაინელი პოეტი მ. ბაჟანი, ბალყარელი პოეტი ყ. ყულიევი, სომეხი პოეტი ს. კაპუტიკიანი და სხვ.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 209 (3186)

1966 წ. 26 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

# სტარტზეა რეგბი

28 ოქტომბერს თბილისში დაიწყება რეგბისტთა I ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. ასპარეზობაში მონაწილეობენ უკრაინის, ამიერკავკასიის, მოსკოვისა და ბალტიისპირეთის ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული გუნდები: კიევის „სპარტაკი", თბილისის „ლოკომოტივი", მოსკოვის „დინამო", ლენინგრადის „სპარტაკი", აგრეთვე, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და თბილისის „დინამოს" კოლექტივები. ისინი ერთ წრედ გაითამაშებენ ჩემპიონობას. მოგვყავს გათამაშების კალენდარი.

28 ოქტომბერი. თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი. „დინამო" (მოსკოვი) — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. დასაწყისი 10 ს. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (კიევი) — 12 ს. თბილისის „დინამოს" სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" — 17 ს.

30 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (კიევი) — 15 ს. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" — 16 ს. 30 წ. რუსთავის სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — 15 ს.

1 ნოემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „სპარტაკი" (კიევი) — „ლოკომოტივი" — 16 ს. 30 წ. „ისანის" სტადიონი. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 16 ს. 30 წ. რუსთავის სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) — 16 ს.

3 ნოემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „სპარტაკი" (კიევი) — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — 15 ს. „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" — 16 ს. 30 წ. „ისანის" სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 16 ს. 30 წ.

5 ნოემბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) — 10 ს. „ლოკომოტივი" — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — 12 ს. „დინამოს" სტადიონი. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (კიევი) — 17 ს. აქვე მოეწყობა ჩემპიონატის დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.



ამ სურათებზე აღბეჭდილია საქართველოსა და უზბეკეთის მძლეოსანთა მატჩის პირველი დღის საუკეთესო სპორტსმენები თეიმურაზ მდივანი (ქვევით) და ტარიელ ბახტაძე, რომლებმაც ყველაზე კარგი შედეგები მოიპოვეს. მდივანმა 209 სმ სიმაღლე გადალახა და სპეციალური პრიზი დაიმსახურა, ბახტაძემ კი საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში.

ფოტო ო. გელაშვილისა.

სსრ კავშირისა და გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის მთელი 90 წუთი დაძაბულად, საინტერესოდ მიმდინარეობდა. ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე მხარეს ჰქონდა შესამჩნევი უპირატესობა. არა, მაგრამ თვალში მაინც გეცემოდათ გერმანელ ფეხბურთელთა უფრო მაღალტექნიკური თამაში, მახვილგონივრული კომბინაციების სიმრავლე. ჩვენი ნაკრები, მართალია, ახლა უფრო გაბედულად და გამარჯვების წყურვილით მოქმედებდა, ვიდრე თურქეთის ფეხბურთელებთან მატჩის დროს, მაგრამ იგი მაინც არაფრით ჩამოჰგავდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, იმ გუნდს, რომელიც ინგლისის სტადიონებზე წარმატებით გამოდიოდა.

გაზეთ „ლელოს" სპეციალური ფოტოკორესპონდენტის მ. ზარგარიანის სურათებიც სწორედ სსრ კავშირისა და გდრ-ის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტებს ასახავს. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ პირველ ბურთს ლ. იაშინის კარში. დაუკვირდით, ჩვენი მცველების რა სიმრავლეა კართან. თუმცა, გადამწყვეტ მომენტში მხოლოდ მ. ხურცილავამ იკისრა თავის განწირვა. მაგრამ უკვე გვიან იყო. გერმანელთა მარჯვენა მცველის, ფრიოსდორფის არც ისე ძნელი ბურთი ვერ შეაკავა იაშინმა და იგი კარის მარჯვენა კუთხეში აღმოჩნდა.

სპეციალისტების აზრით, სუსტად ითამაშა საბჭოთა გუნდის დაცვამ. ეს არ შეეხება მხოლოდ მ. ხურცილავას, იგი ერთადერთი იბრძოდა თავგანწირვით. მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია სწორედ ქართველი ფეხბურთელი, რომელიც მეტოქეებით გარშემორტყმული იგერიებს ძნელ ბურთს.

## უკანასკნელ საათს!

◆ ტოკიო, 25 ოქტომბერი. ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატიდან შინ დაბრუნებისთანავე იაპონელმა მსოფლიო ჩემპიონმა ქვემსუბუქ წონაში ი. მიაკემ ქალაქ ოპიტაში გამართულ ასპარეზობაზე ატაცში აჩვენა 124 კგ და 0,5 კგ-ით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

◆ მეხიკო, 25 ოქტომბერი. 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოებისას კვლავ შეასრულებენ ჰიმნებს, აღმართავენ სახელმწიფო ალმებს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომის დამთავრების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ასეთი განცხადება გააკეთა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა. მან სთქვა, რომ თვითონ იყო მსგავსი ცერემონიის წინააღმდეგი, მაგრამ მის აზრს წარმომადგენელთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.

◆ მოსკოვი, 25 ოქტომბერი. ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და მინსკის „დინამო". გაიმარჯვეს რკინიგზელებმა — 3:1.

## გუშინ...

საქართველოს ახალი რეკორდის დამყარებით აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკისა და უზბეკეთის მძლეოსანთა მატჩის მეორე დღის ასპარეზობა, რომელიც თბილისში, „დინამოს" სტადიონზე გაიმართა. ვაჟთა ესტაფეტაში 4×400 მეტრზე მასპინძელთა კვარტეტმა ი. კოზელსკის, ა. ანდრეევის, ზ. სარქისიანისა და ტ. ბახტაძის შემადგენლობით აჩვენა 3.14,2, რაც ერთი წამით ჯობია საქართველოს რეკორდს, რომელიც შარშან 17 ოქტომბერს, ალმა-ათაში გამართულ სსრ კავშირის პირველობისას იყო დამყარებული. ჩვენმა ქალებმაც (ლ. იევლევა, თ. როჟმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) კარგად იასპარეზეს ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. მათ 48,2 აჩვენეს და რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორეს. ამ დღის მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მ. ოყროშიძის გამარჯვება ბირთვის კვრაში — 17,22, ე. ანდრიასისა — უროს ტყორცნაში — 65,61, ო. ლევინენკოსი (ორივე — უზბეკეთი) სიმაღლეზე ქალთა ხტომაში — 165 სმ და სხვ. ამხანაგური მატჩი საქართველოს ათლეტებმა მოიგეს — 182:150.

## სსრ კავშირი — გდრ





# ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● ბ ო ნ ი, 25 ოქტომბერი. აქ ასპარეზობა დაამთავრა ჩერკასის დოსაafის ავტომოტოკლუბის მოტობოლისტთა გუნდმა „დომბაიმ". პირველ მატჩში ჩერკასელები გფრ-ის ჩემპიონ „ტაიფუნს" შეხვდნენ და დამარცხდნენ — 1:3. მეორე მატჩი საბჭოთა სპორტსმენებმა ლევერკუზენის ნაკრებთან ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 5:1. „დომბაის" მესამე შეხვედრა ქვეყნის უძველეს გუნდთან — პეტერზენის ნაკრებთან ჰქონდა — 2:2. ჩერკასელი სპორტსმენები გაემგზავრნენ საფრანგეთს, სადაც რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გამართავენ აქაურ სპორტსმენებთან.

● კ რ ა კ ო ვ ი, 25 ოქტომბერი. აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში „ვისლის ცისფერ ბაფთაზე" კიევის „სტროიტელის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ფინალში მოუგო პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონს „ვისლას" — 65:58 და პირველობა დაისაკუთრა.

● რიგა, 25 ოქტომბერი. ქვემძიმე წონის ძალოსანმა კ. პუმპურინმა რიგის პირველობაზე 168,5 კგ აჰიმა და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა სსრ კავშირის რეკორდი, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს ვ. გოლოვანოვს ეკუთვნოდა. პუმპურინის ეს მაჩვენებელი, ამავე დროს, პოლონელ მ. გოლომბის მსოფლიო რეკორდის გამეორებაცაა.

● ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 25 ოქტომბერი. აქ გაიმართა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი უკანასკნელი საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ასპარეზობაში ევროპის რამდენიმე ქვეყნის საუკეთესო ათლეტები მონაწილეობდნენ. თავი ისახელეს პოლონელმა ვაჟებმა. 100 მ რბენაში პირველი იყო ვ. მანიაკი — 10,5, ვ. კომარმა მოიგო ბირთვის კვრა — 18,78, ქალთა სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა, ბულგარელმა დ. იორგოვამ — 631 სმ.

● ბერლინი, 25 ოქტომბერი ... დამთავრების შემდეგ მოეწყო ... ტალტსი (ქვემძიმე წონა) ... პირველობაზე, მაგრამ ... 400 კგ ... რაც 2,5 ... კავშირი) მსოფლიო რეკორდს. მაგრამ მხოლოდ სსრ კავშირის ... ონმა, მჩატე წონის ძალოსანმა ... სირის მსოფლიო რეკორდს 0,5 ... შუალო წონა) 151,5 კგ აჰიმა ... რა.

---

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

# ...ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲔᲩᲘᲜᲐ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობის ორგანიზატორებმა კარგი თაოსნობა გამოიჩინეს. წლეულს ცალკე გამართეს საშუალო ასაკის მძლეოსანთა შეჯიბრება. ამან კოლექტივებს საშუალება მისცა უფრო მასობრივად გამოეყვანათ მოსწავლე ათლეტები. ტურნირში I ჯგუფის ზუთიდ (თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის) და II ჯგუფის სხვა ქალაქებისა და რაიონების 26 კოლექტივის 350-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, რამაც ხელი შეუწყო ნიჭიერი ათლეტების გამოვლენას. დაგასახელებთ, თუნდაც, ამ რაიონის სკოლის საშუალო სკოლის მოწავლე ... ა. მიშოთმიწველი, სწრაფად ...

...

ნი, ბადრისმტკრეპელი გოგონები: თბილისელი ნ. მაჭარაშვილი, ხახუტაშვილი დ. ხვედელიძე, თბელი ვ. ჩამლაგულაშვილი და სხვები.

ტურნირი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ გამარჯვებულთათვის ყველამ შესრულა მიზნისთვის ... 11, ხოლო ... I თანრიგის ნორმაც კი აჩვენა.

მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამ ტურნირს მწვრთნელებისა და ფიზკულტურის მასწავლებლების საქმიანობის მხოლოდ კარგი მხარე დაეგვინოს. ... ა. ...

...

ბი და წარმომადგენლები შეჯიბრების მთავარი მსაჯის ო. ელიაშვილის არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, სპორტსმენებს არ მორიდებოდნენ, სპორტსმენებს უადგილოდ რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ და ტურნირის მსვლელობას ხელს უშლიდნენ. ... მაჯამი — რეკორდის ...

ო. ბელაშვილი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ: გოგონები. რბენა 100 მ — ა. ... — 13,2, ... 13,2, ვ. ... — 13,3; 200 მ — ... 27,7, ... 28,2, ... 28,9; 400 მ — ... 1.03,6, ... 1.07,8, ... 1.08,7; 80 მ ... 12,2, ... 12,9, ... 14,1; ... 473, ... 467, ... 461; ... 150, ... 145, ... 135; ... 10,55, ... 9,57, ... 8,26; ... 2786 ქულა, ... 2549, ... 2533; ესტაფეტა 100+200+300+400 მ — თბილისი — 2.30,9, აჭარა — 2.38,2, ქუთაისი — 2.44,0.

ვაჟები. რბენა 100 მ — ... 11,6, ... 11,6, ... 11,8; 200 მ — ... 24,4, ... 24,8 ... 25,4; 400 მ — ... 56,7, ... 57,1, ... 57,7; 800 მ — ... 2.12,2, ... 2.13,6, ... 2.15,0; 110 მ ... 16,4, ... 16,8, ... 17,2; ... 25.35,0, ... 26.11,0; ... 165, ... 160, ... 160; ... 12,91, ... 12,43, ... 11,65; ... 2794 ქულა, ... 2432, ... 2237; ესტაფეტა 100+200+300+400 მ — თბილისი — 2.13,8, ცხინვალი — 2.21,1, ქუთაისი — 2.21,2.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I ჯგუფში — თბილისი, აჭარა, ქუთაისი, II ჯგუფში — მახარაძე, ფოთი, ზუგდიდი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ლ. შახბაზოვი ახალციხიდან.

ფოტო ავტორისა.



# ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

1957 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან დაარსდა მწვრთნელთა მოსამზადებელი სკოლა, რომელიც მას შემდეგ ყოველწლიურად იღებს ნიჭიერ და საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს. მაგრამ სკოლაში მიიღებენ ყველას რიგი შეუძლია: ...

...

ბოლოებში საერთო პრაქტიკას გადიან. ხუ დაივიწყეთ, რომ ჩვენ 1959 წლიდან ...

...

ჯ. ბელიშვილი.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

✦ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ფიზიკური მასწავლებლის ლ. ... ხელმძღვანელობით მოაწყეს ტურისტული ლაშქრობა ... (2100 მ ზღვის დონიდან). ... ბელების და სხვები.

ა. ᲐᲚᲘᲑᲐᲘᲐ.

✦ ᲪᲐᲒᲔᲠᲘ

სოფელ ... საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ... 800 წლისთავს.

რ. ᲮᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲘ,
... საშუალო სკოლის ფიზიკური მასწავლებელი, ... ხელმძღვანელი.

✦ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქს ... № 1 ... — 4:3.

შ. ᲑᲐᲮᲚᲐᲘᲐ.

---

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲔᲡ?!

ახლახან საბჭოთა არმიიდან შევბრუნდი. ჩამოვედი შინ, სოფელ ... (... რაიონი). სპორტსმოყვარენი მადლობ, რომელიც სოფლის ახალგაზრდებმა 1963 წელს მოაწყვეს ... ამ სპორტულ მოედანზე ... გა... 

ახ რა გაუკეთდა ... რომ ... სხვა ადგილი ვერ ...?

მეჩადეური ბელიაშვილი.
...

...ალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის ...დების დღე. 22 წლის ესტონელი ...ებლად გამოვიდა მსოფლიოსა და ...როდ, აქ ისახელა თავი — სამჭი...გრამით აღემატება ვ. ლიახის (სსრ ...მა აკრა 190 კგ. ესეც რეკორდია, ...ე შეჯიბრებაში მსოფლიოს ჩემპი...ნმა აკრა 143 კგ. ეს ირანელი ნა...რამით სჯობია. ვ. კაპლუნოვმა (სა...კავშირის ახალი რეკორდი დაამყა-

● კიოლნი, 24 ოქტომბერი. საბჭოთა მხედარმა ნ. ნასიბოვმა ყველა ჩამოიტოვა დოლში გამართულ ასპარეზობაში ევროპის დიდ პრიზზე. მან 2 წუთსა და 37,8 წამში დაფარა 2400 მეტრი. ასეთივე შედეგით დაამთავრა შეჯიბრება ინგლისელმა მერცერმა, მაგრამ ფირის გამჟღავნების შემდეგ უპირატესობა საბჭოთა მხედარს მიეკუთვნა. ევროპის დიდი პრიზის ღირებულებაა 250 ათასი გფრ-ის მარკა (62,5 ათასი დოლარი).

● დუბლინი, 24 ოქტომბერი. ევროპის თასის 1964 წლის მფლობელებმა — ესპანელმა ფეხბურთელებმა კონტინენტის ახალი ჩემპიონატის პირველსავე შესარჩევ მატჩში დაკარგეს ქულა ირლანდიის ნაკრებთან — 0:0. ამ ორ კოლექტივს გარდა პირველ შესარჩევ ჯგუფში არიან ჩეხოსლოვაკიისა და თურქეთის ნაკრები გუნდებიც.

● ვენა, 24 ოქტომბერი. ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერებმა, აქაური „რაპიდის" ფეხბურთელებმა (მათთან ახლო მომავალში ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასზე 2 მერვედფინალურ მატჩს გამართავენ მოსკოვის სპარტაკელები) მეშვიდე ტურის მატჩი წააგეს ... 0:4.

● ბერლინი, 24 ოქტომბერი. 78,5 მეტრი — ასეთი ნახტომი „მფრინავ მოთხილამურეს" ზამთარშიც კი გაუჭირდება. ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ფ. რიდვალმა კი ამ შედეგს მიაღწია საშემოდგომო შეჯიბრებებში ცნობილ ტრამპლინ ობერჰოფზე (გდრ), რომელსაც ხელოვნური საფარი აქვს. ფრენა სარეკორდოა. ტრამპლინის უმაღლესი მიღწევა (სხვათა შორის, დამყარებული ზამთარში) მთელი მეტრითაა გაუმჯობესებული. ახალგაზრდა მხტომელმა რიდვალმა გაუსწრო გდრ-ის ისეთ გამოცდილ მხტომელებს, როგორიცაა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი დ. ნოიენდორფი და დ. ბოკელო.

## ჭადრაკი

# როგორ დაბრუნდა მოსკოვში „მენჩიკის თასი"

მეორედ მოხდა ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაში თამაში (პირველად იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში ვითამაშე). მართალი გითხრათ, ვერ გამიგია, ამჯერად რატომ აირჩია ფიდე-მ ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების ადგილად ობერჰაუზენი (გფრ). ეს ერთობ მიყრუებული ქალაქია და მონაწილეები მაინცდამაინც კარგ პირობებში არც იყვნენ. ყველა, ვისაც ადრე უთამაშია ჰამბურგსა და სპლიტში (სადაც I და II ოლიმპიადები მოეწყო), დამატებით სიძნელეებს წააწყდა. ამას უნდა დაემატოს შეჯიბრების მეტისმეტად მკაცრი რეგლამენტი. ყოველდღე 7 საათის განმავლობაში თამაში: 5 საათი პარტია და 2 საათი — გადადებული პარტიის დამთავრება, რა თქმა უნდა, უაღრესად დამღლელი იყო. ამიტომ გუნდების მწვრთნელები ხშირად აბამდნენ ბრძოლაში სათადარიგო მონაწილეებს. მაგრამ, როგორც შეჯიბრების სტარტიდანვე ცხადი გახდა, ჩვენ ამ შესაძლებლობას თითქმის მოკლებული ვიყავით და აი, რატომ: საკმაოდ გამოცდილი ვ. კოზლოვსკაია ამჯერად, საოცრად ნერვიულობდა. მისი გამოსვლა ჩვენი გუნდის მეორე დაფაზე იყო განზრახული, მაგრამ იძულებული გავხდით პარტიათა უმეტესობა ტ. ზატულოვსკაიასთვის მიგვენდო. ამიტომ იყო, რომ მე თითქმის არ შემისვენია: 13 პარტიიდან მხოლოდ ორჯერ შემცვალეს.

შეჯიბრებამდე ყველას მიაჩნდა, რომ ჩვენი გუნდის ძირითადი მეტოქეები იქნებოდნენ იუგოსლაველები და რუმინელები. ეს არც იყო გასაკვირი: იუგოსლაველებს (ლაზარევიჩი, ნედელკოვიჩი, კ. იოვანოვიჩი) აქამდე ხომ მტკიცედ ეპყრათ ვერცხლის მედლები, რუმინელებიც შესამჩნევად გაძლიერდნენ. გავიხსენოთ მათი ლიდერის — ნიკოლაუს დიდი წარმატებები ბოლო წლების საერთაშორისო ტურნირებში. როგორც ჩანს, მას დიდად უნდა გავუწიოთ ანგარიში პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში (მის ჩატარებაზე პრეტენზიას აცხადებენ იუგოსლავია და ესპანეთი).

სტარტი ორი სენსაციით აღინიშნა. ჩვენ წავაგეთ რუმინელებთან (0:2) და იძულებული გავხდით დიდხანს გვეზდია მათთვის. გამოირკვა, რომ იუგოსლაველები მაინცდამაინც კარგად მომზადებული არ იყვნენ. ნედელკოვიჩი და იოვანოვიჩი ბრძოლაში მსოფლიოს პირველობის ზონალური ტურნირის შემდეგ შეუსვენებლივ ჩაებნენ. ცხადია, მათ პარტიებში იმატა შეცდომებმა. თანაც, იოვანოვიჩი ცუდ გუნებაზე იყო: ესპანეთის ზონალურ ტურნირში იგი უხეიროდ გამოვიდა და პრეტენდენტთა ტურნირში გაისად ვერ ითამაშებს. და ეს მაშინ, როცა იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაცია მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. ლაზარევიჩი, ჩვეულებისამებრ, მწვავედ, მაგრამ უთანაბროდ თამაშობდა.

იუგოსლაველებთაგან განსხვავებით, რუმინელთა გუნდმა მონოლითურობით ისახელა თავი. ნიკოლაუ, პოლიქრონიადე და სათადარიგო მოთამაშე პერევოზნიკი დიდი წარმატებით თამაშობდნენ და მხოლოდ ფინიშზე შევძელით მათთვის გასწრება. ამაში დიდად „დაგვეხმარა" შეჯიბრების ერთ-ერთი აუტსაიდერი — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. ამერიკელებთან შეხვედრის წინ რუმინელებმა, ეტყობა, დაბალ ლობედ მიიჩნიეს მეტოქეთა გუნდი და თავიანთი მთავარი „სნაიპერი" ნიკოლაუ დაასვენეს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ამერიკელები სწორედ ამ დღეს ითამაშებდნენ მთელი ძალით: ისინი წინა შეხვედრებს ხომ ზედიზედ აგებდნენ! მაგრამ „სასწაული" მოხდა და აი, ამერიკელებთან „მშრალად" წაგების შემდეგ რუმინელები II ადგილს დაჯერდნენ. ნიკოლაუს პირველ დაფაზე პარტია არ წაუგია, მაგრამ ბევრი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

უცხოელთაგან უნდა აღვნიშნოთ ბულგარელი საერთაშორისო ოსტატი ვენკა ასიონოვა. იგი ადრე ბევრს თამაშობდა, თუმცა განსაკუთრებული წარმატებით ვერ დაიქადნიდა. ბევრჯერ ყოფილა საქართველოში. და აი, წარსულის გაკვეთილებს ასიონოვასთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ამჯერად იგი მოგვევლინა, როგორც უაღრესად სახიფათო ოსტატი. პირველ დაფაზე ყველა, 13 პარტია ითამაშა და 9,5 ქულა მოაგროვა, რისთვისაც სპეციალური ჯილდო დაიმსახურა. მან ერთადერთი პარტია წააგო — ჩემთან.



ოლიმპიადის წინ ასიონოვამ გაისად პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. ასეთი „წყვილი წარმატება" მისი ნიჭის დიდ ზრდაზე მეტყველებს.

ახალგაზრდა, ნიჭიერი ოსტატია უნგრელთა სათადარიგო მოთამაშე ვერეცი. ისე კი, ოლიმპიადაზე ძირითადად „ძველ ნაცნობებთან" გვქონდა საქმე, — ახალგაზრდობა შედარებით ცოტა იყო.

რა შეიძლება ითქვას ჩვენი ნაკრების გამოსვლაზე? ზატულოვსკაიამ 9-დან 8,5 ქულა მოაგროვა, რაც თავისთავად ლაპარაკობს მის სიძლიერეზე. პრეტენდენტთა წინა ტურნირის დაწყებამდე სხვებთან შედარებით უპირატესობა სწორედ ზატულოვსკაიას ვანიჭებდი და ეს აზრი არც ახლა შემიცვლია. მისი ენერგიული, მოიერიშე თამაში რომ არა, ერთობ გაგვიჭირდებოდა რუმინელების გასწრება. ბაქოელმა ოსტატმა სპეციალური ჯილდოც კი დაიმსახურა. როგორც ვთქვი, შედარებით უფერულად ითამაშა კოზლოვსკაიამ, — ოლიმპიურ ნაკრებში იგი პირველად გამოდიოდა.

მე ვითამაშე 11 პარტია, 8 მოვიგე, 2 ყაიმით დავამთავრე და 1 წავაგე. შეხვედრები მწვავედ, „თასისებური განწყობილებით" მიმდინარეობდა და ამდენად, მიჭირს რომელიმე მათგანის გამოყოფა. ყოველ შემთხვევაში, უსაზღვროდ კმაყოფილი ვართ, რომ „მენჩიკის თასი" ისევ მოსკოვში დაბრუნდა.

ოლიმპიადაში მონაწილეობამ საშუალება მომცა ერთხელ კიდევ შევხვედროდი თანამედროვეობის მოწინავე ოსტატებს, რომელთა უმეტესობა გაისად პრეტენდენტთა ტურნირში იასპარეზებს.

### მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაპრინდაშვილის ნაამბობი

ეს ითქმის ლაზარევიჩზე, ნედელკოვიჩზე, ნიკოლაუზე, ნოვარაზე, ასიონოვაზე, ერეტოვასა და სხვებზე.

პრეტენდენტთა ტურნირის თვალსაზრისით ძალიან მაინტერესებს საკავშირო ჩემპიონატის ფინალი, რომელმაც 3 საბჭოთა პრეტენდენტი უნდა შეარჩიოს. ამ შეჯიბრებაში მე ვერ მივიღებ მონაწილეობას. უარი თქვა კუშნირმაც, ზატულოვსკაია კი ჯერ კიდევ ყოყმანობს. აქვე უნდა დავძინო, რომ კუშნირისა და ზატულოვსკაიასთვის ამ შეჯიბრებას არცა აქვს პრინციპული მნიშვნელობა — წარსული წარმატებების გამო მათ პირდაპირ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ. ეს უფლება ლაზარევიჩსაც მიენიჭა.

იმის გამო, რომ წლეულს ჭადრაკი, ცოტა არ იყოს, მომყირჭდა, წლის ბოლომდე „შვებულებაში ვიქნები", შემდეგ კი, ალბათ, რომელიმე საერთაშორისო ტურნირში გამოვალ.

## 52 ქვეყნის მოჭადრაკეთა მონაწილეობით

52 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა კუბის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰავანის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ამ გრანდიოზული შეჯიბრების გახსნის წინ ჰავანას ჩამოფრინდნენ აშშ-ის (რ. ფიშერის მეთაურობით), კანადის, ჩილისა და ვენესუელის მოჭადრაკეები. ოლიმპიადის მსაჯთა კოლეგიამ მონაწილენი 7 ნახევარფინალურ ჯგუფად დაყო. მთავარ ფინალურ შეჯიბრებაში ყოველი ჯგუფიდან გამოვა მხოლოდ გამარჯვებული.

საბჭოთა მოჭადრაკეები ასპარეზობის პირველ ეტაპზე შეხვდებიან ჰონკონგის, ფილიპინების, შვეიცარიის, ესპანეთის, შვეციის, მონაკოსა და ურუგვაის გუნდებს.

## კომბინაციურ სტილში

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ნოვოსიბირსკში გამართულ სსრ კავშირის წლევანდელი საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალში გაიმარჯვა საქართველოს განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა, სპორტის ოსტატმა ელისო კაკაბაძემ. გამარჯვება მით უფრო საპატიოა, რომ ტურნირში გამოდიოდნენ ცნობილი მოჭადრაკეები — საერთაშორისო და სსრ კავშირის ოსტატები ლ. ვოლპერტი, ს. როოტარე, ე. ბიშარდი, ა. მუსლიმოვა, ნ. კონოპლიოვა და სხვ.

ე. კაკაბაძე დამაჯერებლად და საინტერესოდ თამაშობდა. მისი სტილი კომბინაციური ხასიათისაა. ასეთ პოზიციებში, ელისო დიდი ენერგიით იბრძვის. ქვემომოყვანილი პარტია შესანიშნავად ადასტურებს, თუ რა დამაჯერებლად გამოიყენა ქართველმა მოჭადრაკემ მოსკოვის ჩემპიონის ნ. კონოპლიოვას პასიური თამაში დებიუტში და კომბინაციურ სტილში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

**ნ. კონოპლიოვა — ე. კაკაბაძე**

ძველინდური დაცვა

**1. d4 მf6, 2. c4 g6, 3. მc3 კg7, 4. e4 0—0, 5. f3.**

გათამაშდა ე. წ. ზემიშის სისტემა. თეთრებმა ოდნავი უზუსტობა დაუშვეს: 5. f3-ის ნაცვლად საიმედოა 5. კe3. კაკაბაძე დაუყოვნებლივ სარგებლობს ამ მცირე შეცდომით და ენერგიული გაგრძელებით პარტია კომბინაციურ ლიანდაგზე გადაყავს.

**5. ... c5! 6. მge2 cd, 7. მ:d4 მc6, 8. მ:c6 bc, 9. კe3 ლa5, 10. ლd2 ეb8 11. ეc1.**

იმუქრებოდა 11. ... ე:b2! 12. ლ:b2 მ:e4.

**11. ... ეd8, 12. კe2.**

თეთრების მეფე ცენტრში დაყოვნდა, საჭიროა სწრაფად გაიხსნას თამაში, რათა გამოყენებულ იქნას მეფის არასაიმედო პოზიცია. კაკაბაძეც დროს არ კარგავს.



**12. ... d5! 13. cd cd, 14. e5 d4! 15. კ:d4 ეb4, 16. ef ეb:d4, 17. ლc2 კ:f6, 18. ეd1 კf5, 19. ლc4 ე:d1.**

შავებმა სწორად შეაფასეს, რომ არ ღირდა თამაშის გართულება (19. ... კg5, 20. ლ:g5 ე:d1+, 21. კ:d1 ე:d1+, 22. მფ:d1 კe2+, 23. მფ:e2 ლ:g5) და აირჩიეს ლოგიკური სწორი გაგრძელება.

**20. კ:d1 ეc8, 21. 0—0.**

თეთრების მეფე თითქოს ხიფათს გადაურჩა, მაგრამ ახლა კონოპლიოვას მატერიალური დანაკლისი გარდუვალია.

**21. ... კ:c3, 22. bc ლ:a2, 23. ლe3 ლa3, 24. ლd4 a5, 25. g4 კe6, 26. კe2 ლ:c3 და თეთრები დანებდნენ.**

ს. მეგრელიშვილი,
ოსტატობის კანდიდატი.

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### „ინტერი" კვლავ წინაა

გასულ კვირას იტალიის პირველობის გათამაშების VI ტურში ქვეყნის ჩემპიონი — მილანის „ინტერნაციონალე" შინ შეხვდა „ბრეშიას". თამაში მასპინძელთა სახიფათო, მაგრამ ამაო შეტევებით დაიწყო, ვინაიდან ისინი მეტოქის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მაინც, მე-20 წუთზე დომენგინიმ მოულოდნელად დაარტყა და ბრეშიელთა მეკარე კუდიჩინიმ განძრევაც კი ვერ მოასწრო — 1:0. მატჩის დამთავრებამდე „ინტერს" კიდევ ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ეს მინიმალური ანგარიში არ შეცვლილა.

ტურინში ადგილობრივა „იუვენტუსი" შეხვდა „ფოჯას". ტურინელებმა ლეონჩინიმ და მენიკელიმ (2) სტუმართა კარში 3 „მშრალი" გოლი გაიტანეს — 3:0.

ბოლონიაში ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა მოუგო „ლეკოს" — 2:0. ბოლონიელთა მარცხენა გარემარბის პასკუტის გადაცემიდან ჰალერმა და ნილსენმა თავური დარტყმებით აიღეს მეტოქის კარი.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ვენეცია" — „ნაპოლი" 0:0, „კალიარი" — „ფიორენტინა" 1:0, „ლანეროსი" — „მილანი" 1:1, „მანტოვა" — „ტორინო" 0:0, „ლაციო" — „რომა" 0:1, „ატალანტა" — „სპალი" 0:1.

საუკეთესო სნაიპერთა სიას კვლავ ლიდერობენ ს. მაცოლა („ინტერი") და ჰამრინი („ფიორენტინა") — 6-6 ბურთი, დომენგინის („ინტერი") 5 გოლი აქვს გატანილი.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე" | 6 | 16:1 | 11 |
| „იუვენტუსი" | 6 | 10:1 | 10 |
| „ნაპოლი" | 6 | 8:3 | 10 |
| „კალიარი" | 6 | 7:0 | 9 |
| „ბოლონია" | 6 | 10:7 | 7 |

(საქ. ინფ.).

ფეხბურთი

### ისევ ეუსებიო

კვირას ჩატარდა პორტუგალიის ჩემპიონატის VI ტური. ლისაბონში ადგილობრივა „ბენფიკა" შეხვდა კოიმბრას „აკადემიკას". თუმცა „ბენფიკას" უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ შესვენებამდე ლისაბონელმა აუგუსტომ მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო — 1:0. მეორე ტაიმის დასაწყისში „აკადემიკამ" გაქვითა გოლი — 1:1. „ბენფიკა" განაგრძობდა იერიშს და 87-ე წუთზე ეუსებიომ გატანა გადამწყვეტი გოლი. გაიმარჯვა „ბენფიკამ" — 2:1. სეზონის დაწყებიდან მას არც ერთი თამაში არ წაუგია.

ქვეყნის ჩემპიონი — ლისაბონის „სპორტინგი" შეხვდა თანაქალაქელ „ბელენენსესს". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. უცხოეთის პრესის აზრით, პორტუგალიის ჩემპიონი წლევანდელ სეზონში საკმაოდ სუსტად გამოიყურება.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ვიტორია" — „ატლეტიკო" (ლისაბონი) 0:2, „გიმარაისი" — „ლეიქსოსი" 2:0, „სან ჟოანენსე" — „ბრაგა" 0:0, „ბეირა მარი" — „ვარზიმი" 2:4, „პორტო" — კუფ-ი 5:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" (ლისაბონი) | 6 | 11:3 | 11 |
| კუფ-ი (ბარეირო) | 6 | 9:5 | 8 |
| „აკადემიკა" (კოიმბრა) | 6 | 13:10 | 7 |
| „ვიტორია" (სეტუბ.) | 6 | 8:4 | 7 |

(საქ. ინფ.).

### ...გამჭვირვალე პლასტიკური სახურავით

ლონდონი. მიღებულია გადაწყვეტილება ლონდონის „უემბლის" სტადიონის გადახურვის შესახებ გამჭვირვალე პლასტიკური სახურავით. სამუშაოები უახლოეს ხანს დაიწყება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


თბილისის სპორტული ბაზრობა

სამბო. სპორტის სასახლე. 29-30-31 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური ტურნირი. მონაწილეობენ: მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური თამაშების, სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები: ა. კიკნაძე, ა. ქიბროწაშვილი (ორივენი — საქართველო), ო. სტეპანოვი (მოსკოვი), ა. ბოგოლიუბოვი (ლენინგრადი) და სხვ. დასაწყისი: 29 და 30 ოქტომბერს 11 ს., და 18 ს., 31 ოქტომბერს — 17 ს. ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში. 2 ნოემბერი. საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — იაპონია (ნაკრები). დასაწყისი 19 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ დაგავიწყდეთ ხელმოწერა!

## „სპორტივნიე იგრი"



სპორტული თამაშები ბურთით, შაიბით, ჩოგნით თუ ტაფელით საინტერესო, წარმტაცი და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ეს თამაშები ადამიანს უვითარებს ცხოვრებისა და შრომისთვის მნიშვნელოვან თვისებებსა და ჩვევებს, მატებს სისწრაფეს, მოხერხებულობას, ძალას, ამტანობას. განუმტკიცებს ხებისყოფას. კაცი, რომელიც სპორტული თამაშებითაა გატაცებული, გაბედულია, მტკიცე, ჯაჭკაცური, ამხანაგობის, კოლექტივის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ფასის გამგები. ჩვენი ჟურნალი მოწოდებულია, იყოს მეგობარი და ერთგული თანაშემწე ადამიანისა.

1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნე უსრულდება. ჟურნალი მკითხველებს უამბობს რაოდენ დიდ როლს თამაშობს ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის გამტკიცებასა და სიცოცხლის ჯახანგრძლივებაში. „სპორტივნიე იგრი" კვალდაკვალ მიჰყვება საბჭოთა სპორტის აღმოცენების, ჩამოყალიბებისა და განვითარების გზებს, გაგვაცნობს ვეტერანებს, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში შესანიშნავი გამარჯვებებით სახელი გაუთქვეს სამშობლოს.

1967 წელს ჟურნალის ფურცლებზე გაშუქდება მასობრივ სპორტული თამაშების პრობლემები, გავეცნობით საუკეთესო ფიზკულტურულ კოლექტივებს, ეზოების სპორტმოედნებზე და ქალაქგარე დასვენების ზონებში სპორტულ მეცადინეობათა ორგანიზატორების გამოცდილებას. ჩვენი ქვეყნის მოწინავე მწვრთნელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები მკითხველებს მისცემენ რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ ითამაშონ უკეთ, აზიარებენ წარმატების საიდუმლოებას და სხვ. სპორტული მედიცინის მოღვაწენი „გამოსწერენ" ჯანმრთელობის გაკაჟების რეცეპტებს, გვეტყვიან, როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ტრავმები და მავნე გადატვირთვა.

ჟურნალი იბრძოლებს ჯანით მაგარი და სულით ძლიერი სპორტსმენის აღზრდისათვის, მისი ფიზიკური სრულყოფისა და მორალური სიწმინდისთვის, მკითხველებს გააცნობს საბჭოთა სპორტის საუკეთესო ადამიანებს, იბრძოლებს ზოგიერთი სპორტსმენის ცნობიერებასა და მოქმედებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისთვის.

სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკის მოწინავე გამოცდილება, მწვრთნელთა და სპორტსმენთა შემოქმედებითი ძიებანი სპორტული თამაშების ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფის სფეროში, თამაშების ფედერაციათა, სექციების, გუნდების, მწვრთნელების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და თვით სპორტსმენების მუშაობისთვის პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო გამოკვლევები — აი, ყოველივე ეს გაშუქდება ჟურნალის გვერდებზე. მწვრთნელები და სპორტსმენები მკითხველებს გაუზიარებენ თავიანთ აზრს თამაშის ტექნიკასა და ტაქტიკაზე, მოუთხრობენ სიახლეებზე, ამა თუ იმ ტაქტიკური ვარიანტის ან ტექნიკური ილეთის ღირსებასა თუ ნაკლზე. „სპორტივნიე იგრი" დიდ ადგილს დაუთმობს სპორტული თამაშების პრობლემებზე კამათს.

კვლავინდებურად დიდი ყურადღება მიექცევა ნორჩების სპორტული აღზრდის საკითხებს. დაიბეჭდება ჰოკეისტთა და ფეხბურთელთა კაპიტნების საკავშირო დაუსწრებელი სკოლების სასწავლო დავალებები; ჰოკეისა და ფეხბურთის ოსტატები რჩევა-დარიგებით დაეხმარებიან ბავშვებს თამაშის ილეთების შესწავლაში.

ჟურნალი სისტემატურად გააცნობს მკითხველებს სსრ კავშირისა და უცხოეთის სპორტულ ამბებს, ტურნირების, ჩემპიონატების შედეგებს, ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, ფრენბურთელთა და სხვ. შეჯიბრებების ანალიტიკურ მიმოხილვებს, უამბობს სპორტული ლიტერატურის სიახლეებზე, დამხმარე სახელმძღვანელოებზე, პლაკატებსა და დიაფილმებზე. „სპორტივნიე იგრი" მოგვცემს რჩევას, თუ როგორ უნდა მოეწყოს წვრთნისა და შეჯიბრების ადგილები, როგორ გავაკეთოთ ჩვენ თვითონ სპორტული ინვენტარი.

საგანგებო რუბრიკით „საფოსტო ყუთი", სისტემატურად დაიბეჭდება სპორტული მსაჯების, სპორტის ოსტატებისა და მწვრთნელთა პასუხები მკითხველთა შეკითხვებზე.

ჟურნალის ერთი წლით გამოწერის ფასია 3 მან. და 60 კაპ.

## „ლიოგკაია ატლეტიკა"




სპორტულ-მეთოდური ჟურნალი „ლიოგკაია ატლეტიკა" ძირითად ამოცანად ისახავს მკითხველთა ფართო წრეებს გააცნოს სპორტული წვრთნის თანამედროვე მეთოდები, გაუწიოს პროპაგანდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელთა და მასწავლებელთა გამოცდილებას, გააშუქოს მძლეოსანთა დიდი შეჯიბრებები.

განყოფილებებში „მწვრთნელთა ტრიბუნა", „მეცნიერება და სპორტი", „ახალგაზრდების დასახმარებლად", „კონსულტაცია", ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელები ვ. დიაჩკოვი, გ. კორობკოვი, ვ. იაგოდინი, ვ. პოპოვი, ფ. კუდუ, დ. ობარიუსი და სხვები მკითხველებს მოუთხრობენ თავიანთ გამოცდილებაზე, მძლეოსნური სპორტის ცალკეულ სახეობებში წვრთნის დაგეგმვასა და შინაარსზე. ყოველთვიურად გამოქვეყნდება სსრ კავშირისა და მსოფლიოს უძლიერეს მორბენალთა, მხტომელთა და მტყორცნელთა კინოგრამები. ჟურნალი მკითხველებს მოუთხრობს უძლიერესი მძლეოსნების ვ. ბრუმელის, ი. ტერ-ოვანესიანის, ვ. კუცის, პ. ბოლოტნიკოვის, ე. ოზოლინას, ნ. ჩიჟოვასა და სხვათა სპორტული გზისა და გამოცდილების შესახებ. საინტერესოა განყოფილება „ახალგაზრდების დასახმარებლად". გამოცდილი სპეციალისტები რჩევა-დარიგებებს მისცემენ დამოუკიდებლად მოვარჯიშე სპორტსმენებს.

ჟურნალს აქვს განყოფილება „მძლეოსნობა სკოლაში" და სპეციალური გვერდი, რომელიც ფიზაღზრდის მასწავლებლებსა და მოზარდთა სპორტის მუშაკებს მიაწვდის მასალას ბავშვთა სპორტსკოლებსა და საშუალო სკოლებში (დარბაზისა და სასკოლო მოედნის პირობებში) მძლეოსნობის სწავლების შესახებ.

განყოფილება „საბჭოთა კავშირში" ფართოდ აშუქებს ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ცხოვრებას — სპორტულ შეჯიბრებებს, ფედერაციების, ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტული კლუბებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობას.

ჟურნალი დიდ ადგილს დაუთმობს უცხოეთის სპორტს.

ამგვარად, „ლიოგკაია ატლეტიკა" განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრეებისთვის — მწვრთნელთათვის, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტული ორგანიზაციების ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის, ყოველგვარი კვალიფიკაციის მძლეოსნებისთვის და ბოლოს, უბრალოდ, სპორტის მოყვარულთათვის.

1967 წელს ჟურნალის რედაქცია მნიშვნელოვნად გააფართოებს ავტორთა წრეს, თავის საქმიანობაში ჩააბამს მეცნიერ-მუშაკებს, ჟურნალისტებსა და მწვრთნელებს, გამოაქვეყნებს ნარკვევებსა და მოთხრობებს საბჭოთა სპორტის წარსულსა და აწმყოზე.

„ლიოგკაია ატლეტიკას" გამოწერა შეიძლება ნებისმიერ საფოსტო განყოფილებაში და საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან. ჟურნალის ერთი წლით გამოწერა 3 მან. და 60 კაპ. ღირს.

## „სპორტივნაია ჟიზნ როსიი"

ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრეებისთვის — სპორტსმენებისთვის და მათთვის, ვისაც უყვარს და თვალს ადევნებს სამამულო და საერთაშორისო სპორტს. ჟურნალის ფურცლებზე ქვეყნდება მნიშვნელოვანი საკავშირო და საერთაშორისო მატჩებისა და ჩემპიონატების ანგარიშები, იბეჭდება საპრობლემო სტატიები სპორტის ყველა სახეობის მდგომარეობისა და მათი განვითარების ტენდენციების, წვრთნის თანამედროვე მეთოდიკის „საიდუმლოებათა" შესახებ, ნარკვევები გამოჩენილ სპორტსმენებსა და გუნდებზე, აგრეთვე, დიდი სპორტის ახალგაზრდებზე. რეგულარულად იბეჭდება მოთხრობები, ფელეტონები, ლექსები, ფოტონარკვევები. ფართოა ავტორთა ჯგუფი. ჟურნალში თანამშრომლობენ მინისტრები და პარტიული მუშაკები, გამოჩენილი მხედართმთავრები, ექიმები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი და, რასაკვირველია, — სსრ კავშირის დამსახურებული ოსტატები და მწვრთნელები.

ჟურნალი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს განყოფილებას — „თავი და თავია ჯანმრთელობა". ამ რუბრიკით უკვე 4 წელიწადია იბეჭდება ათლეტური ტანვარჯიშის სპეციალური კომპლექსები, ბავშვთა ფიზიკური აღზრდისა და ხანდაზმული ადამიანების ჯანმრთელობის გამტკიცებისთვის სასარგებლო რჩევა-დარიგებები.

ჟურნალი ილუსტრირებულია.

მისი გამოწერის ფასია: 1 წლით — 3 მან. და 60 კაპ.

## „შახმატი ვ სსსრ" და „შახმატნი ბიულეტენ"







ჟურნალები „შახმატი ვ სსსრ" და „შახმატნი ბიულეტენი" სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის ორგანოებია. პირველი 1921 წლიდან გამოდის და ერთ-ერთ უძველეს სპორტულ ჟურნალად ითვლება, „შახმატნი ბიულეტენის" პირველი ნომერი კი 1955 წელს გამოვიდა.

„შახმატი ვ სსსრ" განკუთვნილია ჭადრაკის მოყვარულთა ფართო ფენებისთვის. მასში შუქდება როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის ყველა საინტერესო საჭადრაკო მოვლენა, ქვეყნდება საყურადღებო პარტიები დიდოსტატის და ოსტატთა შენიშვნებით. ჟურნალი მოგვითხრობთ ბოლო შეჯიბრებებზე, საჭადრაკო დაფასთან მომხდარ თავშესაქცევ შემთხვევებზე, ჭადრაკის მდიდარ წარსულზე, ამ ბრძნული თამაშის ფსიქოლოგიაზე. ქვეყნდება, აგრეთვე, ახალბედებისთვის განკუთვნილი სასწავლო ხასიათის მასალები, სისტემატურად იბეჭდება დამხმარე მასალა ჭადრაკში დამოუკიდებლად მომეცადინეთათვის.

ჟურნალი რეგულარულად ატარებს კონკურსებს საინტერესო პოზიციებისა და ეტიუდების ამოხსნაში.

„შახმატნი ბიულეტენი" განკუთვნილია კვალიფიციური მოჭადრაკეებისთვის, მათთვის, ვისაც სურს ჭადრაკის ხელოვნების მწვერვალებს დაეუფლოს და ოსტატი გახდეს. ჟურნალი სპორტსმენს შემდგომ დაოსტატებაში ეხმარება, აცნობს მნიშვნელოვან გამოკვლევებს პარტიის ყველა სტადიაში. ყოველ ნომერში იბეჭდება დაახლოებით 150 პარტია დამოუკიდებელი ანალიზისთვის.

ამ ჟურნალებში თანამშრომლობენ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები, გამოჩენილი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები.

ორივე ჟურნალს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა მოჭადრაკეების წარმატებაში. ჩვენი გამოცემები განამტკიცებენ საბჭოთა საჭადრაკო სკოლის პრიორიტეტსა და მოწინავე ადგილს. ეს ორივე ჟურნალი დიდად პოპულარულია მთელს მსოფლიოში, ჰყავს ხელმომწერები ყველა კონტინენტზე.

ჟურნალების ფასი „შახმატი ვ სსსრ" — 40 კაპ., „შახმატნი ბიულეტენი" — 50 კაპ. წლიური ხელმოწერის ფასია, შესაბამისად, 4 მან. 80 კაპ. და 6 მან.

## „ფიზკულტურა ი სპორტ"




ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხების შესახებ. იგი მკითხველს უამბობს როგორ ახორციელებენ ფიზკულტურული ორგანიზაციები „სიჯანსაღის პროგრამას" და ბევრ სხვა საინტერესო ამბავს.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში. 1 წლით იგი ღირს 3 მან. და 60 კაპ.

## „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური"




საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა დაფუძნებულია ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემაზე, რომელიც თანმიმდევრულად მოიცავს მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფს. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" მეცნიერ-მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმიისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების წინაშე დასახა ადამიანის ფიზიკური განვითარების ყველაზე რაციონალური გზების ძიებასთან დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვანი პრობლემები.

„ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური" — ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. მისი ძირითადი ამოცანაა ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის სამეცნიერო დამუშავების მთავარ მიმართულებათა გაშუქება. ჟურნალი აქვეყნებს მასალებს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის იდეურ-თეორიულ საფუძვლებზე. სტატიებს კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ფიზიკური კულტურის განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევების შესახებ, ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ თვისებათა აღზრდის სამეცნიერო გზებზე, წვრთნის ახალ მეთოდებზე, რომლებიც საშუალებას იძლევიან დავიპყროთ სპორტული ოსტატობის ახალი სიმაღლეები.

მეცნიერი, რომელიც ადამიანის ფიზიკური განვითარების წარმმართველ პრობლემებზე მუშაობს, ამ ჟურნალის ფურცლებზე გაეცნობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეცნიერების მთავარ მიმართულებებს.

მწვრთნელი, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი წაიკითხავს სტატიებს სამეცნიერო გამოკვლევათა შედეგების შესახებ. ეს მას გამოადგება ყოველდღიურ მუშაობაში, დაეხმარება საწვრთნელი პროცესის ეფექტურობის ამაღლებაში.

სპორტში მომუშავე ექიმი, — მწვრთნელისა და პედაგოგის მთავარი მოკავშირე, — გაეცნობა სპორტსმენის სხეულის ფუნქციონალური შესწავლის ახალ და ყველაზე სრულყოფილ მეთოდებს, უახლეს გამოკვლევებს საექიმო კონტროლის სფეროში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკი ამ ჟურნალის დახმარებით რეგულარულად აიმაღლებს ცოდნას ფიზიკური კულტურის ორგანიზაციის საკითხებში, გაეცნობა ახალ ტენდენციებს ადამიანის ფიზიკური სრულყოფის პრობლემების განვითარებაში, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

„ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტური" რეგულარულად გამოაქვეყნებს მასალებს ფიზიკური აღზრდის კანონზომიერებათა შესახებ, გაგვაცნობს უცხოეთის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა გამოცდილებას.

ჟურნალზე ხელმოწერა შეიძლება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში. გამოწერის ფასი 1 წლით — 4 მან. 80 კაპ.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 06102